სამოთხეში არის წიგნი სახელად ,,კრავის სიცოცხლის წიგნი.’’ ის სავსეა ადამიანთა სახელებით. იცით ვისი სახელები წერია იქ? ყველასი, ვინც იესო ქრისტესი ირწმუნა.

არის შენი
სახელი იქ?




19

ბიბლიის უკანასკნელი სიტყვები სამოთხის შესახებ მშვენიერი მოწვევაა.




20

# სამოთხე, ღმერთის მშვენიერი სახლი



„სული და სასძლო ამბობენ: მოდი! მსმენელმაც თქვას: მოდი! მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ მიიღოს სიცოცხლის წყალი”.




21

სამოთხე, ღმერთის მშვენიერი სახლი

ამბავი ღმერთის სიტყვებიდან, ბიბლიიდან,

გადმოცემულია

იოანე 14; 2 კორინთელთა 5;
გამოცხადება 4, 21, 22

„შენი სიტყვების კარიბჭე შობს ნათელს.”
ფსალმუნები 119:130


ავტორი Edward Hughes
ილუსტრატორი Lazarus

მთარგმნელი Christian Lingua
ადაპტირება Sarah S.


ამბავი 60 60-დან


**M1914.org**

**Bible for Children, PO Box 3, Winnipeg MB R3C 2G1 Canada**



ლიცენზია: თქვენ გაქვთ უფლება, დაბეჭდოთ ეს ტექსტი
ან გადაიღოთ მისი ასლი იმ შემთხვევაში, თუ მას არ გაყიდით.


ღმერთმა იცის, რომ ჩვენ გაგვიკეთებია
ცუდი რამეები, რომლებსაც ის ცოდვას უწოდებს.
ცოდვისთვის სასჯელი სიკვდილია.

ღმერთს იმდენად ვუყვარვართ, რომ მან ჯვარცმისა და ჩვენი სასჯელის გამოსასყიდად გამოგზავნა თავისი ერთადერთი ძე, იესო. იესო აღდგა და დაბრუნდა სასუფეველში! ახლა ღმერთს შეუძლია მოგვიტევოს ჩვენი ცოდვები.

თუ გინდა, ზურგი აქციო შენს ცოდვებს, უთხარი ეს ღმერთს: უფალო ღმერთო, მწამს, რომ იესო მოკვდა ჩემთვის და ახლა ისევ ცოცხლობს. გთხოვ, შემოდი ჩემს ცხოვრებაში და მომიტევე ჩემი ცოდვები, რათა ახალი ცხოვრების დაწყება შევძლო, შემდეგ კი მუდამ შენთან ვიყო. შემეწიე, რათა ვიცხოვრო შენთვის, როგორც შენმა შვილმა. ამინ. იოანე 3:16

იკითხე ბიბლია და ესაუბრე ღმერთს ყოველდღე!

ქართული Georgian

როდესაც იესო ცხოვრობდა დედამიწაზე, მან უთხრა მოციქულებს სამოთხის შესახებ. მან სამოთხეს „მამაჩემის სახლი” უწოდა და თქვა, რომ იქ უამრავი სასახლეა. სასახლე დიდი, მშვენიერი სახლია. სამოთხე უფრო დიდი და მშვენიერია,



ვიდრე ნებისმიერი ამქვეყნიური სახლი.

1

იესომ თქვა: „წავალ და ადგილს მოგიმზადებთ, კვლავ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ”. იესო მართლაც წავიდა სამოთხეში მას შემდეგ, რაც მკვდრეთით აღდგა. როდესაც მოციქულები უყურებდნენ მას, იესო ამაღლდა, ღრუბელმა მიიღო იგი და ასე მოშორდა მათი მხედველობის არეს.



2

მას შემდეგ, ქრისტიანებს ახსოვთ იესოს პირობა, რომ დაბრუნდება და წაიყვანს მათ. იესომ თქვა, რომ ის დაბრუნდება მოულოდნელად, როდესაც ყველაზე ნაკლებად ველით.




3

მაგრამ რა მოუვათ იმ ქრისტიანებს, ვინც მის მოსვლამდე გარდაიცვლება? ბიბლია ამბობს, რომ ისინი პირდაპირ იესოსთან მოხვდებიან. სხეულიდან განსახლება უფალთან დასახლებას ნიშნავს.




4

აღდგომა, ბიბლიის ბოლო წიგნი, მოგვითხრობს, თუ რა საოცარია სამოთხე. ყველაზე საოცარი ის არის, რომ განსაკუთრებული ძალით, სამოთხე ღმერთის სახლია. ღმერთი ყველგანაა, მაგრამ მისი ტახტი სამოთხეშია.



5

ანგელოზები და სხვა ზეციური არსებები სამოთხეში ღმერთს სცემენ თაყვანს. ასევე იქცევა ღმერთის რჩეული ხალხი, რომელიც მოკვდა და სამოთხეში წავიდა. ისინი განსაკუთრებულ სადიდებელ საგალობლებს უგალობენ ღმერთს.



6

აი, სიტყვები ერთ-ერთი საგალობლიდან, რომელსაც ისინი გალობენ: ღირსი ხარ, რადგანაც შენი სისხლით გამოგვისყიდე ღმერთისათვის ყოველი ტომისა და ერისგან და მეფეებად და ჩვენი ღმერთის მღვდლებად გვაქციე.
(გმცხ. 5:9)



7

ბიბლიის სულ ბოლო გვერდები სამოთხეს აღწერს, როგორც ,,ახალ იერუსალიმს''. ის არის ძალიან, ძალიან დიდი, გარედან დიდი კედლით. კედელი ჯასპერის ქვისაა, კაშკაშა, როგორც კრისტალი.



8

ძვირფასეულობა და ძვირფასი ქვები ფარავს კედლის საძირკველს და ბრწყინავს დიდებული ფერებით. ქალაქის თითოეული კარიბჭე გაკეთებულია ერთი დიდი მარგალიტით!



9

არასოდეს იხურება ის დიდებული მარგალიტის ბჭენი. მოდი, შევიდეთ და მიმოვიხედოთ ირგვლივ ... ვაუ! სამოთხე შიგნით კიდევ  უფრო მშვენიერია. ქალაქი შექმნილია სუფთა ოქროსგან, სუფთა მინის მსგავსად. ქუჩებიც კი ოქროსგანაა გაკეთებული.



10

საოცარი, სუფთა მდინარე სიცოცხლის წყლისა მოედინება ღმერთის საუფლოდან. მდინარის ერთ მხარეს დგას სიცოცხლის ხე, რომელიც პირველად სამოთხის ბაღში იყო. ეს ხე ძალიან განსაკუთრებულია. ის ისხავს  თორმეტი სხვადასხვა სახეობის ნაყოფს, სხვადასხვა სახეობას თითოეულ თვეში. სიცოცხლის ხის ფოთლები კი ერების განსაკურნებლადაა.



11

სამოთხეს არ ჭირდება მზე ან მთვარე სინათლისათვის. ღმერთის ბრწყინვალება ავსებს მას საოცარი სინათლით. იქ აღარასოდეს დგება ღამე.



12

სამოთხეში ცხოველებიც კი განსხვავებულები არიან. ისინი ყველა მოთვინიერებული და მეგობრულები არიან. მგლები და კრავები ერთად სძოვენ ბალახს. ძლევამოსილი ლომებიც კი ჩალას ჭამენ, როგორც კამეჩი. უფალი ამბობს: „ისინი არ დააზიანებენ და არც გაანადგურებენ არაფერს ჩემს წმინდა მთაზე”.



13

როცა ირგვლივ მიმოვიხედავთ, ჩვენ შევნიშნავთ, რომ სამოთხეში რაღაცები არ არსებობს. არასოდეს ისმის გაბრაზებული სიტყვები. არავინ იბრძვის ან თავნებობს.



14

კარებზე საკეტები არაა, რადგან არ არიან ქურდები სამოთხეში.  იქ არ არიან მატყუარები, მკვლელები, ჯადოქრები, ან სხვა უკეთური ადამიანები. არ არსებობს რაიმე სახის ცოდვა სამოთხეში.



15



სამოთხეში ღმერთთან არ არის მეტი ცრემლები. ზოგჯერ, ამ ცხოვრებაში, ღმერთის რჩეულები დიდი დარდებისგან ტირიან. სამოთხეში, უფალი ყველა ცრემლს გააშრობს.

16

სიკვდილიც არ არის სამოთხეში. ღმერთის რჩეულები სამუდამოდ იქნებიან უფალთან. არ იქნება მეტი ვარამი, მეტი ტირილი, მეტი ტკივილი. არ იქნება ავადმყოფობა, განშორება, დაკრძალვები. ყველა სამუდამოდ ბედნიერია სამოთხეში უფალთან.



17

რაც ყველაზე კარგია, სამოთხე არის იმ ბიჭებისთვის და გოგონებისთვის (და აგრეთვე ზრდასრულებისთვის) ვინც ირწმუნა იესო ქრისტე, როგორც მათი მაცხოვარი და დაემორჩილა მას, როგორც უფალს.




18